საერთო კულტურული მემკვიდრეობის კვალდაკვალ: ხის ნაკეთობები აჭარის სახელმწიფო მუზეუმში

გიულჯან ოზბექი
ვან იუზუნჯუ ილის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: gulcanozbek@yyu.edu.tr
ORCID: https://orcid.org/0000-0002-6864-9792

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომის მიზანია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში გამოფენილი ხის ხელოვნების ნიმუშების ხელოვნების ისტორიის პერსპექტივიდან შესწავლა, რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობაში მათი ადგილის შეფასება და ამ მემკვიდრეობის შენარჩუნებაში მათი წვლილის გაანალიზება. აჭარის რეგიონი, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, წარმოადგენს გეოგრაფიულ არეალს, სადაც ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული სტრუქტურები იკვეთებოდა, რამაც მდიდარი მხატვრული დაგროვება განაპირობა. კერძოდ, ხეზე კვეთის ოსტატობა დიდ მნიშვნელობას ატარებდა როგორც რეგიონის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში და იგი თაობიდან თაობას გადაცემული გამოცდილებით ვითარდებოდა. ამ კონტექსტში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხის არტეფაქტები, მათ ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად, კულტურული უწყვეტობისა და ადგილობრივი იდენტობის წარმომადგენლებად გვევლინებიან. კვლევის ფარგლებში, მუზეუმის კოლექციაში დაცული შერჩეული ხის ნაკეთობები გაანალიზდა მათი ფორმალური მახასიათებლების, ორნამენტული მოტივების, ტექნიკური სტრუქტურისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით. იკონოგრაფიული ანალიზის მეშვეობით შეფასდა არტეფაქტებში არსებული სიმბოლოები და მათი კავშირი სოციალურ სტრუქტურებთან. ნაშრომში არტეფაქტების პერიოდულ მახასიათებლებთან კავშირის დამყარებით გამოიკვეთა მათი მნიშვნელობა ისტორიულ კონტექსტში. ასევე, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მეშვეობით შეფასდა რეგიონში ხის ხელოვნების განვითარების ტრაექტორია. ეს კვლევა ფოკუსირებულია არა მხოლოდ ცალკეული ხელოვანების შემოქმედებაზე, არამედ საერთო კულტურულ მეხსიერებასა და კოლექტიურ იდენტობაზე. მიღებული შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ აჭარული ხის ხელოვნება არ არის მხოლოდ ფუნქციური დანიშნულების მქონე ხელოსნობის პროდუქტი, არამედ მაღალი მხატვრული ღირებულებისა და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ორიგინალური ნამუშევრებია. შესაბამისად, ამ ნამუშევრების დოკუმენტირება, დაცვა და ექსპონირება უდიდესი მნიშვნელობისაა კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობისთვის, ხელოვნების ისტორიის მეცნიერებისა და სამუზეუმო პრაქტიკისთვის.

საკვანძო სიტყვები: აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ხის ხელოვნების ნიმუშები, კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული იდენტობა, მუზეუმმცოდნეობა.